

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური

XI-XII კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (60 ქულა)

- ჩამოთვლილთაგან რომელია თავისებურ სახელთა წყვილი?
ა) ღვინო, ლიმონი; ბ) მოყვარე, მეტიჩარა; გ) მე, შენ;
- ჩამოთვლილთაგან რომელია თავისებურ სახელთა წყვილი?
ა) ჩვენი, თქვენი; ბ) წელი, თვალი; გ) ლურჯი, წითელი;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) დემეტრამეთი; ბ) მენაბდეთი; გ) გოეთეთი;
- რომელი ჯგუფის ნაცვალსახელებაა: თვით, თავად?
ა) ჩვენებითი; ბ) განსაზღვრებითი; გ) უარყოფითი;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) სოფლისგან; ბ) ჩემგან; გ) ოქროდან;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) ჩვენმა ოჯახმა; ბ) მათმა გააბეს; გ) ჩვენს შესახებ;
- რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია რამე წინადადებაში: „რამე იპოვოს და დააპუროს.“
ა) განსაზღვრებითი; ბ) ურთიერთობითი; გ) განუსაზღვრელობითი;
- ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ფორმა?
ა) ერთმა და იმავე ქალმა; ბ) ერთსა და იგივე კაცს; გ) ერთი და იგივე მოხუცის;
- ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?
ა) მე- XI ; ბ) XIV- ე ; გ) XX ;
- კავშირი აერთებს:
ა) ორ სიტყვას; ბ) ორ წინადადებას; გ) ორ სიტყვას ან ორ და მეტ წინადადებას;
- რომელი ბრუნვის თანდებულია გამოყენებული წინადადებაში: „გაემგზავრა სოფელში და მონატრებულ მეზობლებს მიესალმა.“
ა) მიცემითში; ბ) ნათესაობითში; გ) მოქმედებითში;
- რომელი ჯგუფის ნაწილაკებია: კი, ჰო, დიახ?
ა) მიიგებითი; ბ) მიახლოებითი; გ) გამორჩევითი;
- რომელი აფიქსი არაა ზედსართავის ხარისხის ფორმის მაწარმოებელი?
ა) უ-ეს; ბ) მო-ო; გ) სა-ო;
- რომელია უყოლობა-უქონლობის აღმნიშვნელი წარმოქმნილი ზედსართავი სახელის მაწარმოებელი აფიქსი?
ა) უ-ო, უ-ურ; ბ) მო-ო, მო-ე; გ) სა-ე, სა-ურ;
- ჩამოთვლილთაგან რომელია გარდაუვალი ზმნა?
ა) უკარნახა; ბ) იზრდება; გ) უწერს;
- რომელია გარდამავალი ზმნა?
ა) დაიბრალა; ბ) ჩანს; გ) დულს;
- რომელია უშუალო კონტაქტის მქონე ზმნა?
ა) გააზრდევინა; ბ) ამბობს; გ) აკეთებინა;
- რისი ნიშანია ზმნაში აქებენ „ენ“ ბოლოსართი?
ა) მესამე სუბიექტური პირის;
ბ) მესამე ირიბობიექტური პირის;
გ) მესამე პირდაპირობიექტური პირის;
- გვ თავსართი არის:
ა) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხ. რიცხვში;
ბ) მეორე ობიექტური პირის ნიშანი მრ. რიცხვში;
გ) პირველი ობიექტური პირის ნიშანი მრ. რიცხვში;
- რისი ნიშანია ზმნაში ვთლი ბოლოსართი „ი“ ?
ა) პირის; ბ) გვარის; გ) თემის;

